ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 118

ქალაქი ქუთაისი 31 ოქტომბერი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის
№ 30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გრიგოლ შუშანიას 2018 წლის 5 ოქტომბრის №540-02 წერილობითი განცხადების საფუძველზე:

მუხლი 1. შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გრიგოლ შუშანია.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრის, გრიგოლ შუშანიას 2018 წლის 5 ოქტომბრის
№540-02 წერილობითი განცხადება განკარგულების
დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის N30 განკარგულებაში. კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. კვიცარიძე მერაბი
2. შენგელია ირაკლი
3. გოგისვანიძე დავითი
4. სიმონიძე მაია
5. გარდაფხაძე ვლასი
6. უკლება გიორგი
7. შუშანია გრიგოლი.“

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია